ფსიქოლოგიის საბაკალავრო პ რ ო გ რ ა მ ა

პროგრამის ავტორები: ფსიქოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი.

პროგრამის კოორდინატორები: თ. გაგოშიძე, მ. მელიქიშვილი, ხ. მარწყვიშვილი

დამტკიცებულია ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ოქმი N17, 27.12.2016

ა) პროგრამის სახელწოდება: ფსიქოლოგია. Psychology.

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში BA in Social Sciences (Psychology)

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240

დ) სწავლების ენა: ქართული

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ბაკალავრიატში ფსიქოლოგიის პროგრამის მიზანია თანამედროვე პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოამზადოს სტუდენტი იმგვარად, რომ მან შეძლოს კონკურენტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

გარდა ამისა, ბაკალავრიატში ფსიქოლოგიის პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა განავითაროს კრიტიკული აზროვნებისა და რაოდენობრივი ანალიზის უნარი; დაეუფლოს წერითი და ვერბალური კომუნიკაციის ჩვევებს; ბაკალავრის საფეხურზე მიღებული ცოდნა იყოს მყარი საფუძველი ზედა საფეხურის აკადემიური და პროფესიული პროგრამების უკეთ დაუფლებისათვის

სტუდენტს ეძლევა საშუალება გაეცნოს და ისწავლოს პიროვნების ჩამოყალიბების, განვითარებისა და ნორმალური და პათოლოგიური ქცევის ამხსნელი თეორიები. შეისწავლოს პიროვნების კვლევისა და დიაგნოსტირების ინდივიდუალური, კლინიკური და ჯგუფური მეთოდები. ისწავლოს პიროვნების ქცევის მოდიფიკაციის ელემენტები. შეისწავლოს კულტურული და სოციალური ფაქტორების გავლენა პიროვნების ქცევის ჩამოყალიბებაში. პროგრამა აგებულია სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებულ ცოდნაზე.

რიგი დისციპლინების მიზანია სტუდენტს საშუალება მიეცეს, გაეცნოს განათლებისა და სწავლის თანამედროვე თეორიებს, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს; გაიღრმავოს ცოდნა სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიაში, აგრეთვე, დაეუფლოს კვლევის მეთოდებს და გაეცნოს მათი გამოყენების სპეციფიკას განათლების სფეროში.

სტუდენტი სწავლობს ისეთ დისციპლინას, როგორიცაა ორგანიზაციის ფსიქოლოგია, რომელიც შეიმუშავებს ფსიქოლოგიურ თეორიებსა და მეთოდოლოგიებს და იყენებს მათ იმ ორგანიზაციული პრობლემების მოსაგვარებლად, რომელიც ინდივიდებსა და ჯგუფებს ექმნებათ ორგანიზაციაში. ამდენად ორგანიზაციის ფსიქოლოგები თანაბრად არიან დაკავებული, როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული საქმინობით.

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით სტუდენტის სტატუსის მოპოვება. ზ) სწავლის შედეგები: ფსიქოლოგიის მიმართულების ბაკალავრი შეიძენს იმ საბაზისო თეორიულ და პტაქტიკულ ცოდნას და უნარებს,

რომლებიც აუცილებელია კურსდამთავრებული საქმიანობის დასაწყებად.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს წარმათებით გავლილი სასწავლო კურსის შედეგად შეეძლება

ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების გამოყენება საზოგადოების ინტელექტუალური, ემოციონალური, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. კურსდამთავრებულს შეეძლება დამოუკიდებლად განახორციელოს მცირე მასშტაბის კვლევა, გამოიყენოს ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტები კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, ანალიზისა და პრეზენტაციისას; მოამზადოს კვლევის ანგარიში და მოახდინოს კვლევის

მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ბაზისურ დონეზე; შეეძლება ახსნას, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე სოციალური, პიროვნული და სიტუაციური ფაქტორები. ამასთანავე გამოიმუშავებს კრიტიკულ აზროვნებას. შეიძენს სფეროში მუშაობისათვის საბაზისო პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს შეეძლება გამოადიფერენციროს პიროვნების ქცევის განსხვავებული მოდუსი; დაგეგმოს და ჩაატაროს მცირე მასშტაბის კვლევა, გაანალიზოს პიროვნების ქცევის თავისებურებანი განსხვავებულ სიტუაციებში; შეადგინოს მარტივი სადიაგნოსტიკო ბატარეა და დაახასიათოს პიროვნული პროფილი კოგნიტური, ემოციონალური (ღირებულებითი) და ქცევითი პარამეტრებით; მოახდინოს გარემო სიტუაციის და სოციალური გავლენის ინდიკატორული შეფასება პიროვნების კონკრეტული ქცევის აღწერისათვის.

კურსდამთავრებულს გააზრებული ექნება როგორც ფსიქოლოგიის ასევე ფსიქოლოგის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში.

საბაკალავრო პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება მონაწილეობა მიიღოს სასწავლო დაწესებულებაში მიმდინარე სწავლისა და სწავლების პროცესის შეაფასებაში ძირითადი პარამეტრების მიხედვით, განსაზღვროს არსებული ხარვეზები, დაკავშირებული როგორც ბავშვის ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან, ასევე სწავლების მეთოდებთან და დაწესებულების ფსიქოლოგიურ კლიმატთან. სტუდენტს შეეძლება განსაზღვროს პრობლემა და ჩაატაროს მცირე მასშტაბიანი კვლევა.

საბაკალავრო დონეზე სტუდენტები შეისწავლიან ორგანიზაციისათვის ისეთ მნიშვნელოვან აქტივობების დაგეგმვისა და შეფასების ძირითად ასპექტებს, როგორიცაა: პერსონალის შერჩევა, ტრენინგი და განვითარება, შესრულებული სამუშაოს შეფასება, სამუშაოს ანალიზი და სხვ. მიიღებენ ცოდნას ემპირიული კვლევის მეთოდების შესახებ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში.

ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას. სწავლის შედეგების აღწერის მიხედვით, ბაკალავრი შეითვისებს ისეთ დარგობრივ კომპეტენციებს და უნარებს, როგორებიცაა:

ცოდნა და გაცნობიერება

ზოგადი:

- ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების თეორიული საფუძვლები.
- გაცნობიერებული აქვს საზოგადოებისათვის ფსიქოლოგის როლი და მნიშვნელობა.
- ეცნობა თანამედროვე ფსიქოლოგიურ მიმდინარეობებს, რომლებიც შეისწავლიან შემეცნებით პროცესებსა და ქცევის სტრუქტურას, მათ საფუძვლად მდებარე პროცესებსა და ფსიქოლოგიურ მექანიზმებს.
- პრაქტიკული მეცადინეობები საშუალებას აძლევს გააცნობიეროს თეორიული კურსის შედეგად მიღებული ცოდნა.

ნეირო- და კოგნიტურ ფსიქოლოგია

- თავის ტვინის დაზიანების შედეგად სხვადასხვა სისტემების დარღვევის ნეიროფსიქოლოგიური სინდრომების შესახებ ცოდნა; ადამიანის ქცევაში თავის ტვინის სხვადასხვა სისტემების როლის შესახებ ცოდნა.
- ადამიანის კოგნიტური პროცესების სტრუქტურის, შემეცნებითი პროცესების კოგნიტური მოდელების შესახებ ცოდნა;
- ბავშვის ნორმალური განვითარებიდან გადახრის სხვადასხვა გამოვლინებების ფსიქოლოგიური მახასიათებლების ცოდნა;
- ფსიქიკური აშლილობების ფორმებისა და მათი კლასიფიკაციის პრინციპების შესახებ ზოგადი ცოდნა.

სოციალური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია:

- სოციალური ფსიქოლოგიის, როგორც ფსიქოლოგიის დარგის თეორიული საფუძვლების ცოდნა;
- პრაქტიკული საქმიანობის წამოსაწყებად სოციალურ ფსიქოლოგიაში დაგროვილი თეორიული და ემპირიული მონაცემების ცოდნა;
- სპეციალობაში ლიტერატურის დამოუკიდებლად დამუშავება და კრიტიკულად განხილვა, შედეგების ანალიზის უნარი;
- სპეციალობაში ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და საბაზისო დონეზე ინტერპრეტირება;
- კრიზისულ სიტუაციებში სოციალური ფსიქოლოგიის ცოდნის გამოყენება და საზოგადოებისათვის მისი როლის და მნიშვნელობის გაცნობიერება;
- თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგიის თეორიული პოსტულატების გაცნობიერება და მისი ძირითადი მიმდინარეობების ცოდნა

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია:

- შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
- საბაზო ცოდნა ორგანიზაციული ქცევის, ადამიანური რესუსრის მენჯმენეტის, პროფესიის ფსიქოლოგიის,
- მომხმარებლის ფსიქოლოგიის საკითხებში;
- ორგანიზაციისა და ინდივიდის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ უახლეს ლიტარატურასა და კვლევით მონაცემებზე დამყარებული ცოდნა;
- პერსონალის შერჩევის, შესრულებული სამუშაოს შეფასების, კარიერის დაგეგმვის მეთოდოლოგიური პრინციპიების ცოდნა;
- მომხმარებლის ქცევის, მომხმარებლის არჩევანზე მოქმედი გარემო და ფსიქოლოგიური ფაქტორების ცოდნა;
- ფსიქომეტრიის ძირითადი მოთხოვნების ცოდნა (ტესტის ფსიქომეტრული მახასიათებლების შეფასება,
- ვალიდური ინსტრუმენტების შერჩევა და გამოყენება პერსონალის შერჩევისა და შეფასების, ასევე ორგანიზაციული კვლევების სფეროში);
- კვლევითი სტრატეგიების/მეთოდებისა და მათი გამოყენების პრინციპების ცოდნა, რომელიც დაეხმარება კურსდამთავრებულს ორგანიზაციაში პროდუქტული და კონტრპროდუქტიული ქცევის განაპირობებელი ფაქტორების შესწავლ აში, პროფესიული

სტრესის წყაროების იდენტიფიკაციასა და კვლევზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავებაში.

პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია:

- წამყვანი პიროვნების თეორიებისა და მიმდინარე თანამედროვე კვლევების ცოდნა, ადამიანის ქცევის სხვადასხვა თეორიული პოზიციიდან გაანალიზებისა და პიროვნებისა და მისი ქცევის ფართო კონტექსტში დანახვის უნარი;
- ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდების, სხვადასხვა ტიპის მეთოდების კლასიფიკაციის პრინციპებისა და კრიტერიუმების ცოდნა,
- შესაძლებლობების, ღირსებების და ნაკლოვანებების; ძირითადი პიროვნული მახასიათებლების შესასწავლად შექმნილ თეორიულ კონსტრუქტების ცოდნა;
- ტესტი-კითხვარების კონსტრუირების/ რესტანდარტიზაციის და ინტერპრეტაციის ზოგადი პრინციპები და პრობლემების ცონდა;
- ძირითადი ფსიქიკური აშლილობების (დეპრესია, აგზნება, მწვავე ბოდვითი მდგომარეობა, ცნობიერების შეცვლა და სხვა), დიაგნოსტიკური კრიტერიუმების, სიმპტომები და პრაქტიკაში მიღებული პროფილაქტიკური, თერაპიული და რეაბილიტაციური მეთოდების ცოდნა.
- ნერვულ სისტემაში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესების შესახებ ცოდნა. ასევე, თუ როგორ არეგულირებს ნერვული ქსელები ცხოველთა ქცევას.
- განვითარების დარღვევების დიაგნოსტიკური კრიტერიუმების, განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების, განვითარების დარღვევების ფსიქოლოგიური კანონზომიერების; ადამიანის ქცევაში თავის ტვინის სხვადასხვა სისტემების როლის შესახებ ცოდნა;
- ქცევითი მიდგომების შესახებ ძირითადი თეორიების, ქცევის შეფასების მეთოდების ცოდნა;
- თავის ტვინის სხვადასხვა სისტემების დაზიანების ნეიროფსიქოლოგიური სიმპტომები და სინდრომების ცოდნა; თავის ტვინის დაზიანების ნეიროფსიქოლოგიური შეფასების ზოგადი პრინციპების ცოდნა.

განათლების ფსიქოლოგიის კონცენტრაცია:

- განათლების ფსიქოლოგიის საგნის სპეციფიკისა და მისი ამოცანების ცოდნა;
- განვითარებისა და სწავლის თეორიების მნიშვნელობის გაცნობიერება განათლების ფსიქოლოგიაში;
- ფსიქიკური პროცესების კანონზომიერებების ცოდნა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვისას;
- სწავლების თეორიების ცოდნა;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებისადმი მიდგომების ცოდნა;
- მულტილინგვური განათლების სპეციფიკის ცოდნა და პრობლემის პრაქტიკული ხედვა
- საკლასო შეფასების მეთოდების ცოდნა.
- სწავლების სხვადასხვა მეთოდების, კლასის მართვის სტილების და მოტივაციის ამაღლების ტექნიკების გამოდიფერენცირება და გააზრება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ზოგადი:

- ფსიქოლოგიის ძირითადი თეორიების ცოდნა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- მცირე მასშტაბის ფსიქოლოგიური კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება, მონაცემათა დამუშავება და ანალიზი.
- თემის აქტუალობის განსაზღვრის, სიახლის ძიების, ინფორმაციის მოპოვების, გადამოწმების უნარი.
- სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფის წარმონადგენელთა ფსიქოლოგიური პრობლემების შეფასება და კონსულტირება;
- სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და სასარგებლო რჩევების მიცემა: სამუშაო ჯგუფების პროექტირებას, პერსონალის
- შერჩევასთან და სხვადასხვა ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით.
- პიროვნების ურთიერთობებისა და სოციალური და ეთნიკური ჯგუფების პრობლემების შეფასება და დახმარება

სოციალური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია:

- სოციალური ფსიქოლოგიის ისტორიაზე, სხვადასხვა თეორიებზე და მიმდინარეობებზე დაყრდნობით პრაქტიკული საქმიანობის
- განხორციელება;
- სოციალური ფსიქოლოგიის მეთოდების ცოდნა პრაქტიკული და ემპირიული კვლევის საბაზისო დონეზე ჩასატარებლად;
- სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში საწყის დონეზე ისეთი პროექტის წერის უნარი, რომელიც გულისხმობს საწყის დონეზე პრობლემების დასმას, მიზნის, ამოცანის დეფინირებას და შედეგების დამუშავებას;
- სოციალური ფსიქოლოგიის ცოდნის გამოყენება პრაქტიკული მიზნებისთვის კონკურენტულ გარემოში და საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება;
- საკვლევი თემის აქტუალურობის განსაზღვრა, ინოვაციური ხედვა, ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება, შედეგზე ორიენტირება, აქტუალური თემების ანალიზი (პიროვნების სოციალური ქცევა, ჯგუფი, გავლენები, დამოკიდებულებების შესწავლა, კომუნიკაციის დაუფლება, სოციალური კოგნიტური პროცესების შესწავლა, ტრენინგების ჩატარება, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის ძირითადი პრინციპების ცოდნა), დამოუკიდებლად სხვადასხვა სფეროში გამოყენება, კონსულტირება და რეკომენდაციების მიწოდება (საწყის დონეზე).

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია:

- შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება (პერსონალის შერჩევის პროცედურის დაგეგმვა, ვალიდური ინსტრუმენტების შერჩევა, შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის მენეჯმენტი, პროფესიული სტრესის წყაროების იდენტიფიკაცია, პროფესიული სტრესის დაძლევის სტრატეგიების შემუშავება, ტესტის ფსიქომეტრული მახასიათებლების შეფასება, სამუშაოს ანალიზი და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა და სხვა).
- პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია:
- ტესტებისა და კითხვარების ჩატარებისა და მიღებული მონაცემების დამუშავების ზოგადი ჩვევები;
- არსებული ამოცანებისათვის რელევანტური სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების შერჩევის, შესაბამისი ფსიქომეტრული მახასიათებლების საჭიროების განსაზღვრის უნარი და ამ ინსტრუმენტების საფუძველზე მოპოვებული მასალის ობიექტური შეფასება.
- ლაბორატორიაში მუშაობისა და უსაფრთხოების პირობების დაცვის უნარ- ჩვევები
- ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე ფსიქიკური განვითარების დარღვევის და ფსიქიკური ფუნქციების დაზიანების შესახებ ჰიპოთეზის ფორმულირების უნარი;
- კონკრეტული შემთხვევის ანალიზი და სათანადო სპეციალისტთან გადამისამართების უნარი;

ნეირო- და კოგნიტურ ფსიქოლოგია

- ადამიანის ქცევაზე დაკვირვება;
- პრაქტიკოსი ფსიქოლოგის დახმარება ინფორმაციის შეკრებაში, ინტერვიუს ჩატარებაში;
- მკვლევრის ხელმძღვანელობით კვლევის დაგეგმვა და ჩატარება კოგნიტური ფსიქოლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის სფეროში.

განათლების ფსიქოლოგიის კონცენტრაცია:

კურსდამთავრებული შეძლებს:

- განათლების ფსიქოლოგიის სფეროში ძირითადი საკვლევი პრობლემატიკის გამოკვეთას და აღნიშნული პრობლემის ირგვლივ პროფესიული ხედვის შემუშავებას.
- მცირე მასშტაბიანი კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, წარმოებას და აღწერით სტატისტიკურ ანალიზს;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას;
- საკუთარი ცოდნის წარმოდგენის სტრატეგიების ფლობას: პრეზენტაცია, დებატის წარმართვა, რეფერატის შესრულება.
- ფსიქოლოგის ასისტენტობას პროფესილი სამუშაოს შესრულებისას. კერძოდ,
- სასწავლო დაწესებულების სწავლა/სწავლების პროცესის დაგეგმვასა და დახვეწაში;
- სასწავლო პროცესის მართვაში;
- სპეციალური ტრენინგების დაგეგმვას და ჩატარებაში.

დასკვნის უნარი

- კრიტიკული აზროვნების უნარი;
- ლოგიკური მსჯელობის, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- ფსიქოლგიური თეორიებისადმი, ფსიქოლოგიის კვლევის მონაცემებისა და შედეგებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება;
- მიღებული ცოდნის საფუძველზე ლოგიკური და დასაბუთებული დასკვნის საჯაროდ წარდგენა.

კომუნიკაციის უნარი

- სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ფსიქოლოგიური ცოდნის ლოგიკურად და თანმიმდევრულად გადაცემა
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.
- საკუთარი მოსაზრებების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადება
- ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე,
- ჯგუფში მუშაობის უნარი – მოვალეობების დელეგირების უნარი;
- ქართულ ენაზე პრეზენტაციის/მოხსენების გაკეთების უნარი;
- ქართულ ენაზე გამართული მეტყველების და წერის უნარი – აკადემიური წერა, ლიტერეტურის მიმოხილვის უნარი;
- შეუძლია შესაბამის წყაროებთან, კოლეგებთან, ფართო საზოგადოებასადა სხვა დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის დამყარება;
- შეუძლია ჯგუფურად და ინდივიდუალურად მუშაობა;
- აქვს კითხვის სწორად დასმის და მოსმენის უნარი;
- იცნობს მეტყველების კულტურის ნორმებს და ფლობს ეფექტური ზეპირი კომუნიკაციის უნარებს;
- აქვს ინფორმაციის გადმოცემის/პრეზენტაციის უნარი.
- შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიულ დონეზე კომუნიკაციისათვის.

სწავლის უნარი

- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, სწავლის შემდგომი ეტაპისთვის მზაობა და შემდგომი გაგრძელებისთვის საჭიროებების განსაზღვრა;
- დროის მართვის უნარი - ლექციების, სემინარების, დავალებებისათვის შესაბამისი დროის განაწილების უნარი;;
- სწავლის დამოუკიდებლად განხორციელება, სწავლების პროცესის თავისებურებების გათვალისწინება და სხვადასხვა სამეცნიერო წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- სასწავლო პროცესში ორიენტირება, სასწავლო საგნების კუთხით არჩევანის გაკეთება საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით;
- გააჩნდეს სწავლის შემდგომი გაგრძელების უნარ-ჩვევები და მოტივაცია.
- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და სწავლის პროცესის თავისებურებების გათვალისწინება;

- სხვადასხვა წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობა;
- სასწავლო მიზნებით საინფორმაციო ტექნიკის გამოყენება;
- არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების მზაობა.
- შეუძლია უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა გამოიყენოს, როგორც მყარი საფუძველი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის, დამატებითი ცოდნის მიღებისა და გაღრმავებისთვის.

ღირებულებები

- პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვა (კვლევებში მონაწილე ადამიანთა უფლებების დაცვა, რეალური კვლევითი მონაცემების წარდგენა და სხვა);
- მრავალეროვან კოლექტივში თანამშრომლობისთვის ეთიკური სტანდარტების გაცნობიერება და დაცვა;
- საზოგადოდ, საქმიან ურთიერთობებში ეთიკური ნორმების დაცვა;
- მიღებულ ცოდნის კვალიფიციურად, კეთილსინდისიერად წარმოაჩენისა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომად გახდის უნარი;
- საზოგადოებაში განსხვავებულობის პატივისცემა;
- უნარშეზღუდულობის ადვოკატირება;
- სტიგმისა და სეგრეგაციის საწინააღმდეგოდ პიროვნების საზოგადოებაში ინტეგრირებისა და ინკლუზიის იდეების დანერგვა.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სტუდენტზე და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლების განხორციელება მოიცავს ლექცია-სემინარებს, ინდივიდუალურ, გუნდურ და პრაქტიკულ დავალებებს, სიტუაციურ ანალიზებს, პრეზენტაციებს, რომელთა გაზომვადი შედეგები აისახება შეფასების მეთოდებში.

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა მიერ პრაქტიკული დავალებების შესრულებას და აუდიტორიაში წაკითხვა-განხილვას; ასევე გულისხმობს სხვადასხვა ტიპის ესეებისა თუ რეფერატების დაწერას.

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას.

ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

წიგნზე მუშაობის მეთოდი

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს.

გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად ბევრი, რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

როლური და სიტუაციური თამაშები - როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო

ამოცანიდან გამომდინარე.

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტი ყოველ საგანში მოწმდებაECTS–ის სისტემით (კრედიტის მინიჭების საფუძველზე), 100-

ქულის ფარგლებში, აქტიურობის, შუალედური შემოწმებებით და დასკვნითი გამოცდის საფუძველზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

(A) 91 -100 ფრიადი

(B) 81 -90 ძალიან კარგი

(C) 71 -80 კარგი

(D) 61 -70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51 - 60 საკმარისი

(FX) 41 - 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი.

ეს შეფასების კრიტერიუმები ცნობილია საზოგადოებისთვისაც და სტუდენტებისთვისაც და მოცემულია თვითოეულ სილაბუსშიც. შეფასების მიღების შემდეგ ხდება უკუგება სტუდენტსა და მასწავლებელს შორის მიღწეული შედეგებისა და ნაკლოვანებების გაუმჯობესების მიზნით. ეს უკუკავშირი ხდება სხვდასხვა ფორმით – აუდიტორიაში, საკონსულტაციო საათებისთვის გამოყოფილ დროს, ან ელექტრონული ფოსტით და ა.შ.

კ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურების მითითებით:

იხილეთ დანართი

ლ)პროგრამის კოორდინატორები:

თ. გაგოშიძე, მ. მელიქიშვილი, ხ. მარწყვიშვილი

მ) დასაქმების სფეროები:

კურსდამთავრებული შეძლებს მუშაობის დაწყებას როგორც კერძო, ასევე საჯარო და მრწამსისა და აღმსარებლობის შესაბამისად სხვადასხვა დაწესებულებებში. ასევე, შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას მომიჯნავე სპეციალობით დასაქმებისთვის.

ნ) დამატებითი ინფორმაცია:

სტუდენტთა რაოდენობა:

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა.

დეპარტამენტი /ინსტიტუტი / კათედრა: ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი (240 კრედიტი)

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: თ. გაგოშიძე, მ. მელიქიშვილი, ხ. მარწყვიშვილი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:

დადგენილება 2011 წლის 29 ივნისი №57

ცვლილებები შესულია: დადგენილება №30/2013, 18 თებერვალი, 2013 „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ №30/2013, 18.02.2013; დადგენილება N70/2015, 27 ივლისი 2015წ.)

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2011-2012 სასწავლო წელი

პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტი:

- ფსიქოლოგიური კურსები - 120 კრედიტი (ECTS) (I დონე – 20 კრედიტი სავალდებულო, II დონე – 60 კრედიტი სავალდებულო, III დონე – 40 კრედიტი)
- პირველი დონის საბაზისო კურსები - 40 კრედიტი
- მაინორი - 60 კრედიტი [1]
- თავისუფალი საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო არჩევითი საგნები - 20 კრედიტი

პირველი დონის საბაზისო კურსები: სავალდებულო და სავალდებულო-არჩევითი კურსები									
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი			შემოდგომა	გაზაფხული	
სავალდებულო კურსები – 50 კრედიტი (მათ შორის ფსიქოლოგიური კურსები - 20 კრედიტი)									
	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე			ი. ჟვანია თ. აბაშიძე
	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	5	30	30	65	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1			მ. ჩიტაშვილი მ. მესტვირიშვილი ხ. მარწყვიშვილი
	ინგლისური ენა 1*	5							
	ინგლისური ენა 2 *	5				ინგლისური ენა 1*			

[1] სტუდენტს შეუძლია სურვილისებრ აიღოს მაინორი სხვა სპეციალობაში. მას ასევე, შეუძლია მაინორისა და თავისუფალი არჩევითი საგნებისთვის განკუთვნილი კრედიტები შეასვსოს როგორც საფაკულტეტო, ასევე, საუნივერსიტეტო საგნებით.

[2] საჭიროებისამებ, კურსი შეიძლება გამოცხადდეს დამატებით სხვა სემესტრშიც ან შეიცვალოს სემესტრი.

	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			თ. აბაშიძე ი. გედევანიშვილი ხ. მარწყვიშვილი ი. ჟვანია ე. ფირცხალავა
	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2	5	15	15	95	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1			//- //
	შესავალი სოციოლოგიაში	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			თ. თოფჩიშვილი კ. ქეცბაია
	სტატისტიკა 1	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე			ზ. ხეჩინაშვილი ქ. მანჯგალაძე
	სტატისტიკა 2	5	30	30	65	სტატისტიკა1			ო. ფურთუხია ქ. მანჯგალაძე
	აკადემიური წერა	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ნ. საღარაძე
<u>სავალდებულო-არჩევითი კურსები</u> (2 საგანი) – 10 კრედიტი									
	ანთროპოლოგია	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ლ. სურმანიძე
	სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			გ. წოწკოლაური
	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე			ს. დუნდუა
	შესავალი პედაგოგიკაში	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე			ნ. ბებიაშვილი
	მსოფლმხედველობრივი პარადიგმები	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე			ა. ყულიჯანაშვილი
	ლოგიკა	5	30		95	წინაპირობის გარეშე			ნ. თომაშვილი

* საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს, თსუ-ს ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე თავისუფლდებიან ინგლისური ენის სავალდებულო 10 კრედიტისგან და ეს სავალდებულო კრედიტები უნდა შეავსონ თავისუფალი კრედიტებით.

მეორე დონე									
<u>სავალდებულო</u> კურსები – 60 კრედიტი									
	კოგნიტური ფსიქოლოგია 1	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1			მ. წერეთელი ი. ჟვანია
	კოგნიტური ფსიქოლოგია 2	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1			მ. წერეთელი ი. ჟვანია
	სოციალური ფსიქოლოგია 1	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები1			ა. ქიტიაშვილი
	სოციალური ფსიქოლოგია 2	5	15	30	80	სოციალური ფსიქოლოგია 1			ა. ქიტიაშვილი
	ადამიანის განვითარება 1	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1			მ. მელიქიშვილი ნ. ლაბარტყავა ი. აფთარაშვილი
	ადამიანის განვითარება 2	5	15	30	80	განვითარების ფსიქოლოგია 1			მ. მელიქიშვილი ნ. ლაბარტყავა ი. აფთარაშვილი
	პიროვნების ფსიქოლოგია 1	5	30	30	65	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1			ლ. ხეჩუაშვილი დ. ფარჯანაძე
	პიროვნების ფსიქოლოგია 2	5	30	30	65	პიროვნების ფსიქოლოგია 1			ლ. ხეჩუაშვილი დ. ფარჯანაძე
	ექსპერიმენტული ფსიქოლოგია1	5		30	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში2			ი. გედევანიშვილი მ. რობაქიძე მ. ფანჯიკიძე თ. ჩხაიძე მ. ჯინჭარაძე მ. მეტრეველი
	ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 2	5		30	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში2			// - //
	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2			ი. კუტალაძე
	განათლების ფსიქოლოგია	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2			მ. წერეთელი ი. აფთარაშვილი
<u>არჩევითი</u> კურსები (1 საგანი) – 5 კრედიტი									
	ქცევის გამოყენებითი ანალიზი	5		30	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები1			თ. გავაშელიშვილი

მესამე დონე 40 კრედიტი (ECTS) (ფსიქოლოგიური) (მათ შორის სავალდებულო საგნები - 15 კრედიტი; არჩევითი საგნები - 25 კრედიტი)									
სავალდებულო საგნები - 15 კრედიტი									
	განწყობის ფსიქოლოგია 1	5	30	30	65	ფსიქოლოგიის საფუძვლები2			ვ. ნადარეიშვილი
	განწყობის ფსიქოლოგია 2	5	30	30	65	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 განწყობის ფსიქოლოგია 1			ვ. ნადარეიშვილი
	კვლევითი ნაშრომი	5		30	95	ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 2			ბ. არუთინოვი, თ. გაგოშიძე, ი. გედევანიშვილი, მ. დესპოტაშვილი, თ. ლოდია, შ. მამუკაძე, ხ. მარწყვიშვილი, მ. მესტვირიშვილი, ე. ფირცხალავა, მ. ჯაღიაშვილი
არჩევითი საგნები - 25 კრედიტი მესამე დონეზე სხვადასხვა ინსტიტუტები (თემატური კონცენტრაციები) სტუდენტებს სთავაზობენ კურსების ჩამონათვალს, რომელიც სასურველია მათ გაიარონ იმ შემთხვევაში, თუ ამ მიმართულებით სურთ მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება. თუმცა, სტუდენტი თავისუფალია არჩევანში და შეუძლია საგნები აირჩიოს მხოლოდ საკუთარი ინტერესების შესაბამისად და არა ინსტიტუტების რეკომენდაციის მიხედვით.									
									ინსტიტუტი (თემატური კონცენტრაცია)
	ადამიანური რესურსის მენეჯმენტი	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია			ი. კუტალაძე	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია
	აღქმისა და მეხსიერების კოგნიტური მოდელები	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები კოგნიტურიფსიქოლოგია1.2			დ.ფარჯანაძე	კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია
	ბავშვთა მიმართ ძალადობა	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 განვითარებისფსიქოლოგია1.2			მ.მელიქიშვილი	განათლების ფსიქოლოია
	ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 კოგნიტური ფსიქოლოგია 2 განვითარების ფსიქოლოგია 1, 2			შ. მამუკაძე	კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია

	ბიზნესის ფსიქოლოგია	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია			გ.გოროშიძე	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია
	გარემოს ფსიქოლოგია	5	15	15	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 სოციალური ფსიქოლოგია1.2 ინგლისური ენა			ნ. სუმბაძე	სოციალური ფსიქოლოგია
	გენდერი და ფსიქოანალიზი	5	20	10	95	წინაპირობის გარეშე			მ. ჩიტაშვილი	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია;
	გეშტალტ თერაპია ბავშვებთან და მოზარდებთან	5		45	80	ბავშვის განვ.დარღვ. ფსიქოლოგიის საფუძვლები2 ნეიროფსიქოლოგია			მ. დალაქიშვილი	კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია
	იურიდიული ფსიქოლოგია	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 განწყობის ფსიქოლოგია1 სოციალური ფსიქოლოგია1,2			ვ. ნადარეიშვილი	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია; სოციალური ფსიქოლოგია
	ემოციის ფსიქოლოგია	5	15	15	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები2			თ. აბაშიძე	კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია; განათლების ფსიქოლოგია
	სელფი და ეთნიკური იდენტობა	5	15	15	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები1,2 პიროვნების ფსიქოლოგია 1.2			ლ. გამსახურდია	კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია
	ენისა და მეტყველების განვითარება და დარღვევები	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2			შ.მამუკაძე	კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია
	ვიზუალური კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	5	15	15	95	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1-2			მ. მესტვირიშვილი	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია სოციალური ფსიქოლოგია
	თვითაღწერითი საზომები	5	15	15	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 სოციალური ფსიქოლოგია1.2			ნ. სუმბაძე	სოციალური ფსიქოლოგია
	ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია	5	15	15	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 სოციალური ფსიქოლოგია1.2			მ. დესპოტაშვილი	სოციალური ფსიქოლოგია; განათლების ფსიქოლოგია
	ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები	5	15	15	95	ფსიქოლოგიისსაფუძვლები2 განვითარების ფსიქოლოგია1,2 განათლების ფსიქოლოგია			მ. ზაქარეიშვილი თ. ნაკაიძე	განათლების ფსიქოლოგია

	კარიერის განვითარება და მენეჯმენტი	5	15	30	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია			ლ. სალაყაია ს. დოლიძე	შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია
	კლინიკური ფსიქიატრიის საფუძვლები	5	30	15	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 პიროვნების ფსიქოლოგია1.2			ნ. ოკრიბელაშვილი	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია
	კონსტრუქციული ურთიერთობის ჩვევების ჩამოყალიბების ტრენინგი 1	5	15	15	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 განვითარების ფსიქოლოგია1.2			მ. მელიქიშვილი	განათლების ფსიქოლოგია
	კონსტრუქციული ურთიერთობის ჩვევების ჩამოყალიბების ტრენინგი2 (დისციპლინის პრობლემები საკლასო ოთახში)	5	15	15	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 განვითარებისფსიქოლოგია1.2 კონსტრუქციული ურთიერთობის ჩვევების ჩამოყალიბების ტრენინგი 1			მ. მელიქიშვილი	განათლების ფსიქოლოგია
	კონფლიქტის სოციალური ფსიქოლოგია	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 სოციალური ფსიქოლოგია1.2			ლ. ჩხიკვიშვილი	სოციალური ფსიქოლოგია
	კულტურა და ფსიქოლოგია	5	15	15	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1, 2			ლ.გამსახურდია	კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია
	ლიდერობის თეორია და პრაქტიკა	5	15	30	80	სოციალური ფსიქოლოგია 1,2			გ. ყიფიანი	სოციალური ფსიქოლოგია
	მართვის ფსიქოლოგია	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 სოციალური ფსიქოლოგია1.2			რ. ქვარცხავა	სოციალური ფსიქოლოგია
	მცირე ჯგუფების ფსიქოლოგია	5	15	15	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები სოციალური ფსიქოლოგია 1.2			მ. დესპოტაშვილი	სოციალური ფსიქოლოგია
	ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 კოგნიტური ფსიქოლოგია 1, 2			თ. გაგოშიძე	კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია
	ორგანიზაციული ქცევა	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1			გ. გოროშიძე	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია

	პათოფსიქოლოგია	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2			თ. გაგოშიძე ლ. ხეჩუაშვილი	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია
	პრაქტიკუმი: ბავშვის განვითარების დარღვევების შეფასება და აბილიტაცია.	5		45	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 ნეიროფსიქოლოგია ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები			თ. ტატიშვილი თ. მჭედლიშვილი	კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია
	პრაქტიკუმი ადრეული ინტერვენციის პრაქტიკუმი: მუშაობა ადრეული ასაკის განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებთან და მათ ოჯახებთან.	5		45	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 ნეიროფსიქოლოგია ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები			რ. ბოჭორიშვილი	კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია
	პერსონალის შერჩევა	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია			ი. კუტალაძე	შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია
	პოლიტიკური ფსიქოლოგია	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 სოციალური ფსიქოლოგია1.2			ე.კვანჭილაშვილი	სოციალური ფსიქოლოგია
	პროფესიულ უნართა ტრენინგი	5	15	30	80	სოციალური ფსიქოლოგია1.2			გ. ყიფიანი	სოციალური ფსიქოლოგია
	პროფესიის ფსიქოლოგია	5	30	15	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია			ნ. კერესელიძე	შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია
	რეკლამისა და მომხმარებლის ფსიქოლოგია	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია			მ. რობაქიძე	შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია
	სელფი და იდენტობა	5	15	15	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 პიროვნებისფსიქოლოგია1.2			მ. მესტვირიშვილი	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია; სოციალური ფსიქოლოგია
	სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 ადამიანის განვითარება 2			მ. მელიქიშვილი	განათლების ფსიქოლოგია

	სოციალურ–ფსიქოლოგიური გავლენები	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 სოციალური ფსიქოლოგია1.2			ე. ფირცხალავა	სოციალური ფსიქოლოგია
	სტიგმა და სტრესი	5	15	15	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები2			მ. მესტვირიშვილი	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია; კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია; სოციალური ფსიქოლოგია
	სპეციალური პრაქტიკული კურსი სკოლის ფსიქოლოგიურ სამსახურში	5		60	65	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 განვითარების ფსიქოლოგია12			ს. თედორაძე	განათლების ფსიქოლოგია
	ფსიქობიოგრაფია	5	15	15	95	პიროვნების ფსიქოლოგია 2			ლ. ხეჩუაშვილი	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია
	ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 კოგნიტური ფსიქოლოგია1.2			ლ. არუთინოვი	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია; სოციალური ფსიქოლოგია)
	ფსიქომეტრიის შესავალი	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2			ი. კუტალაძე	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია. არჩევითი: ყველა თემატური კონცენტრაციისთვის
	ფსიქოლოგიის ისტორია	5	15	45	65	ფსიქოლოგიის საფუძვლები2			ი. იმედაძე	არჩევითი
	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია	5	15	15	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 ანთროპოლოგია			ლ. სურმანიძე	კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია;
	ფსიქოლოგიური კონსულტაცია	5	16	14	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 პიროვნების ფსიქოლოგია1.2			მ. ჩიტაშვილი მ. ფანჯიკიძე	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია; განათლების ფსიქოლოგია

	ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმართულებები	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2			ი. იმედაძე	არჩევითი
	ქცევითი და ემოციური აშლილობები ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 პიროვნების ფსიქოლოგია 2 ადამიანის განვითარება 2			თ. ლოდია	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია
	ქცევითი პრობლემები სკოლაში	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 განვითარებისფსიქოლოგია1.2			ნ. ლაბარტყავა	განათლების ფსიქოლოგია
	ქცევის ფიზიოლოგიური საფუძვლები	5	15	30	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2			ს. ცაგარელი	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია
	ცხოვრების ისტორიის კვლევა და ნარატივის ანალიზი	5	15	15	95	პიროვნების ფსიქოლოგია 2; კვლევის მეთოდები 2; ინგლისური ენა (B1).			ლ. ხეჩუაშვილი	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია
	შესავალი პოზიტიურ ფსიქოლოგიაში	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ხ. მარწყვიშვილი	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია
	შესავალი საგამოძიებო ფსიქოლოგიაში (პრაქტიკული კურსი)	5	-	45	80	ფსიქოლოგიის საფუძვლები2				
	ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის საფუძვლები	5	15	15	95	ფსიქოლოგიის საფუძვლები2 პიროვნების ფსიქოლოგია1.2			თ. გაგოშიძე	კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია
	ჯგუფთან მუშაობის მეთოდები	5	15	30	80	სოციალური ფსიქოლოგია 1,2			გ. ყიფიანი	სოციალური ფსიქოლოგია

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

ფსიქოლოგიის, როგორც დამატებითი სპეციალობის (Minor), პროგრამა

პროგრამის ავტორები: ფსიქოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი.

პროგრამის კოორდინატორები: თ. გაგოშიძე, მ.მელიქიშვილი, ხ. მარწყვიშვილი

დამტკიცებულია ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა

ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ოქმი

27.12.2016 ოქმი N17

პირველი დონის საბაზისო კურსები									
პირველი დონე - საბაზისო სავალდებულო კურსები – 20 კრედიტი (ECTS)									
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი			შემოდგომა	გაზაფხული	
საბაზისო <u>სავალდებულო</u> კურსები									
	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	5	30	30		წინაპირობის გარეშე			ი. ჟვანია თ. აბაშიძე
	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	5	30	30		ფსიქოლოგიის საფუძვლები 1			მ. ჩიტაშვილი მ. მესტვირიშვილი ხ. მარწყვიშვილი
	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1	5	15	15		წინაპირობის გარეშე			თ. აბაშიძე ი. გედევანიშვილი ხ. მარწყვიშვილი ი. ჟვანია ე. ფირცხალავა
	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2	5	15	15		კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1			//- //

მეორე დონე: 2 ორსემესტრიანი[2] სავალდებულო არჩევითი საგანი (20 კრედიტი)									
	კოგნიტური ფსიქოლოგია 1	5	15	30		ფსიქოლოგიის საფუძვლები 2			მ. წერეთელი დ. ფარჯანაძე ი. ჟვანია
	კოგნიტური ფსიქოლოგია 2	5	15	30		ფსიქოლოგიის საფუძვლები 2			მ. წერეთელი დ. ფარჯანაძე ი. ჟვანია
	სოციალური ფსიქოლოგია 1	5	15	30		ფსიქოლოგიის საფუძვლები2			ა. ქიტიაშვილი
	სოციალური ფსიქოლოგია 2	5	15	30		ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 სოციალური ფსიქოლოგია 1			ა. ქიტიაშვილი
	ადამიანის განვითარება 1	5	15	30		ფსიქოლოგიის საფუძვლები 2			მ. მელიქიშვილი, ნ. ლაბარტყავა ი. აფთარაშვილი
	ადამიანის განვითარება 2	5	15	30		ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 განვითარების ფსიქოლოგია 1			მ. მელიქიშვილი ნ. ლაბარტყავა ი. აფთარაშვილი
	პიროვნების ფსიქოლოგია 1	5	30	30		ფსიქოლოგიის საფუძვლები 2			ლ. ხეჩუაშვილი დ. ფარჯანაძე
	პიროვნების ფსიქოლოგია 2	5	30	30		ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 პიროვნების ფსიქოლოგია1			ლ. ხეჩუაშვილი დ. ფარჯანაძე,
მესამე დონე: თავისუფალი არჩევითი <u>ფსიქოლოგიური</u> საგნები (20 კრედიტი)									

[2] სავალდებულოა ნებისმიერი ორსემესტრიანი 2 კურსის გავლა (მაგ. კოგნიტური ფსიქოლოგია 1, კოგნიტური ფსიქოლოგია 2 და სოციალური ფსიქოლოგია 1, სოციალური ფსიქოლოგია 2).